საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, ინგოროყვას ქ. №1/3



საპროექტო ტერიტორია ინგოროყვას ქუჩიდან
2007 წ.

შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

შ.პ.ს.
„ძველი უბანი“
თბილისი
იანვარი
2007წ.

საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ უბან სოლოლაკში – **პავლე ინგოროყვას ქუჩა №3** და მოიცავს, აქ თიოდე წლის წინ აღებულ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის ადგილს (ყოფ. მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი). ეს ნაგებობა საფასადო სახით ჩაბმული იყო ინგოროყვას ქუჩის მწკრივულ განაშენიანებაში. ამჟამად გამონთავისუფლებული ტერიტორია შემოღობილია დაბალ პარაპეტზე შემომდგარი ლითონის ცხაურით. ამ ადგილას გათვალისწინებულია ახალი მოცულობის ჩადგმა.



აეროფოტო 1990-იანი წწ.


ამ უბანში ბევრი არქიტექტურული ძეგლი და რამდენიმე ძეგლის ნიშნის მქონე (ძ.ნ.მ.) ნაგებობაა:

ინგოროყვას ქუჩაზე – ძეგლი №№3,4,6,7,8,10,14...
ქიქოძის ქუჩაზე – ძეგლი №№ 4 ... ძ.ნ.მ. 1,3 ...
ლეონიძის ქუჩაზე – ძეგლი №№ 5,7,8 ძ.ნ.მ. №2/1


საპროექტო ტერიტ.


უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

საპროექტო ტერიტორია რომლის განაშენიანება XIX ს-ის II მესამედში ჩამოყალიბდა მდებარეობდა ისტორიული გარეუბნის ზედა ნაწილში. ბატონიშვილი ვახუშტის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე, გარეუბნის დასახლებული ნაწილი ძირითადად ახლანდელი რუსთაველის გამზირის გასწვრივაა აღნიშნული და ქაშვეთის ეკლესიამდე აღწევს. დღევანდელი თავისუფლების მოედნის ზემოთ ვახუშტის გეგმაზე ნაგებობები არ ჩანს. აქ აღიშნულია გზა, რომელიც დაახლოებით დღევანდელ ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩას მიუყვება. აქვე იყო მეფის და დედოფლის ბაღები.



1735წ. ვახუშტი ბატონიშვილის შედგენილი თბილისის გეგმა

გარეუბნიდან დაიწყო თბილისის განვითარება მთაწმინდასაკენ. ეს კარგად ჩანს იმდროინდელ თბილისის გეგმებზე და ჩანახატებზე.



ამ დროს სოლოლაკი ჯერ კიდევ არ არის განაშენიანებული



ამ დროს სოლოლაკში კვარტალები უკვე დაპროექტებულია. საპროექტო ტერიტორიაზე აღნიშნულია ნაგებობა.

თბილისის ძველ გალავანს შიგნით დარჩა შუა საუკუნეების ფეოდალური ქალაქი, ზღუდის გარეთ კი, ევროპულ, ბურჟუაზიულ ხუროთმოძღვრებას ეყრებოდა საფუძველი.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (1795წ. შემოსევით გამოწვეული ჭრილობების მოშუშების შემდეგ) უკვე ნათლად გამოიკვეთა თავისუფალი მოხაზულობის და სხვადასხვა ზომის ურბანული კვარტალები და ქუჩათა პერიმეტრების მომცველი, წინასწარ დაპროექტებული, კლასიკური რეპერტუარის შემცველი და თბილისური ტიპის აივნიანი საცხოვრებელი სახლები – მწკრივული განაშენიანება ქუჩების პერიმეტრზე და თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურა კვარტალების შიგნით.


XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ქალაქი ვითარდება და თანდათან ყალიბდება მოედანი "კოჯრის კარის" მიმდებარე სივრცეზე. აქ თბილისის დასავლეთ ფერდობებიდან (გ. ლეონიძის, ყოფ. კიროვის ქუჩა) ავანაათხევი ჩამოედინებოდა. 1840-იან წლების ბოლოს ავანაათხევი აგურის თაღოვანი კოლექტორით გადახურეს და აქ გამავალ გზას **სოლოლაკის ქუჩა** ეწოდა. თანდათან მთლიანად გაიჩეხა სამეფო ბაღები. ამ უბნის ურბანული განაშენიანების მოწესრიგებაზე გარკვეული გავლენა იქონია ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულმა დებულებამ გარეთუბანში უგეგმო და უკონტროლო მშენებლობების აკრძალვის შესახებ.

ბატონყმობის გაუქმებამ და ბურჟუაზიულმა რეფორმებმა 1870-იან წლებიდან უფრო დააჩქარა და გაზარდა ქალაქთმშენებლობა. XIX ს-ის ბოლოსთვის ეს ქუჩები თითქმის მთლიანად არის მოცული განაშენიანებით. XX ს-ის დასაწყისისთვის დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება და ქალაქთმშენებლობითმა აქცენტმა კიდევ უფრო შორს გადაინაცვლა.

თბილისის გეგმა 1902წ.



თბილისის გეგმა 1924




XXს-ის პირველ მეოთხედში ინგოროყვას ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიის სტრუქტურა აღარ შეცვლილა, თუმცა იცვლებოდა სახლების გაბარიტები და გარეგანი სახე – ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი ნაგებობები.

მიკროუბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება


სოლოლაკის სამხრეთ მონაკვეთისაგან განსხვავებით (ლ. ასათიანისა და ლეონიძის ქუჩებს შორის), რომელიც რეგულარული განაშენიანებით განვითარდა, მისი ჩრდილოეთი, მთაწმინდის სამხრეთ კალთებზე შეფენილი ნაწილის ურბანული განაშენიანება პავლე ინგოროყვას (ყოფილი ძერჟინსკის) ქუჩის ზემოთ, რელიეფს არის მორგებული. ქუჩები აქ ბუნებრივ მოცემულობებს მიჰყვება და თავისუფალი მოხაზულობა აქვს.


ინგოროყვას ქუჩა კი ჯერ კიდევ 1830-იან წლებში დაპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ, თუმცა ქუჩა აქ რეალურად მხოლოდ XIX ს-ის შუა ხანებში მოეწყო – აქ სამეფო ბაღის ზედა ნაწილში გაიკაფა სწორი მონაკვეთი ლეონიძის (სოლოლაკის) და ჩიტაძის (ერმოლოვის) ქუჩებს შორის და მთაწმინდის ფერდზე მოეწყო ახალი ქუჩა, რომელიც, მთაწმინდაზე მდებარე ლაბორატორიის ქუჩის გაგრძელებას წარმოადგენდა.





1880-იანი და 1900-იანი წლების საარქივო ფოტოები
რკალით მონიშნულია ინგოროყვას ქუჩა. წითელი ისრით – საპროექტო ტერიტორიის ადგილი





1880-იანი და 1900-იანი წლების საარქივო ფოტოები
რკალით მონიშნულია ინგოროყვას ქუჩა. წითელი ისრით – საპროექტო ტერიტორიის ადგილი

XIX ს-ის ბოლოსთვის ქუჩა მთლიანად იყო შევსებული ნაგებობებით. XIX-XX სს-ის დასაწყისში ამ ნაგებობათა უმრავლესობა განიცდიდა ტრანსფორმაციას და ქუჩას საბოლოო ჩამოყალიბებული სახე მიეცა XX ს-ის 10-იანი წლებისთვის.

ქუჩის პერიმეტრის ორთავე მხარეს მიყვებოდა ეკლექტიკური ტიპის ფსევდორენესანსული სტილის ფასადებიანი სამსართულიანი სახლები. რამდენიმე მათგანში შეიმჩნევა ბაროკოული და მოდერნის ელემენტებიც. ამჟამად ქუჩის ლუწრიცხვებიანი მხარე თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი, კენტრიცხვებიან მხარეზე კი 1970-80-იან წლებში დაინგრა ქუჩის შუა მონაკვეთის განაშენიანება და მის ნაცვლად აშენდა დრევანდელი კანცელარიის შენობა (1981; არქიტექტორები: ვ. აბრამიშვილი, გ. მირიანაშვილი, ლ. ჯანდიერი: შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემია, 1985).



ინგოროყვას ქუჩა, ლეონიძის ქუჩის გადაკვეთასთან 2007წ.



ინგოროყვას ქუჩა, ლუწრიცხვებიანი



ინგოროყვას ქუჩა






ინგოროყვას ქუჩა, კენტრიცხვებიანი მხარე ზემოდან ქვემოთ 2007წ.

- საპროექტო ადგილი და მიმდებარე ნაგებობები



1900-იანი წლების საარქივო ფოტო

საპროექტო ადგილზე იდგა აგურით ნაშენი, მარტივი საფსადო სახის ორსართულიანი ნაგებობა. სახლი მართკუთხა სარკმლებიანი მოკლე ფასადით გამოდიოდა ინგოროყვას ქუჩაზე, ეზოს მხრიდან კი წაგრძელებულ ფასადზე ჰქონდა ხის აივნებიანი გალერეა. სახლი გადახურული იყო კოლოფა სახურავით. ინგოროყვას ქუჩაზე გამომავალი ამ სახლის ფრაგმენტი ჩანს XIX ს-ის დასაწყისის საარქივო ფოტოზე. ასევე მოცემულია ამ სახლის აქსიონომეტრიული სახე 1990-იანი წლების თბილისის მოცულობით გეგმაზე.



1990-იანი წლების მოცულობითი გეგმა

ეს ნაგებობა უშუალოდ მიბჯენილი იყო ინგოროყვას ქ. №3 სახლის ყრუ კედელზე და გრძელდებოდა ეზოს სიღრმეში ამჟამად მდგომ სამსართულიან სახლამდე.



ინგოროყვას ქუჩა №3,1

ამჟამად ეს ნაგებობა დანგრეულია და მის ადგილზე ეზოა გაფართოებული. ეზო ქუჩის მხრიდან შემოღობილია დაბალ პარაპეტზე შემომდგარი ლითონის ცხაურიანი მესერით. ეზოს სიღრმეში დგას სამსართულიანი სახლი მარტივი ფასადით.





საპროექტო ტერიტორიის გვერდით მდებარე საცხოვრებელი სახლი №3 აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად. მას აქვს XX ს-ის დასაწყისისთვის დამახასიათებელი ეკლექტიკური ფასადი, ფსევდო კლასიცისტური იერით და მოდერნის ელემენტებით. ნალესობით გამოყვანილი ნაძერწი სახეები გაუყვება სართულების გამყოფ ლავგარდანს და პროფილირებული პარაპეტის ფრიზს. საინტერესოა ამ სახლის გეგმარება ატრიუმის ტიპის შიდა ეზოთი.

არანაკლებ საინტერესოა ინგოროყვას ქუჩის №1/9 სახლი – აგურით ნაშენი სამსართულიანი ნაგებობა ფსევდო რენესანსური სტილის ფასადებით. იგი აგებულია XIX ს-ის ბოლო მესამედში. ნაგებობა თავდაპირველად ორსართულიანი იყო. გამარტივებული საფასადო სახის III სართული დააშენეს მოგვიანებით.



ნაგებობის არქიტექტურულ სახეს განაპირობებს მდიდრულად მოჩარჩოებული და რიტმულად განაწილებული სარკმელთა მონაკვეთები, II სართულის დამაგვირგვინებელი, ფესტონებიანი ფრიზით მდიდრულად მორთული პროფილირებული ლავგარდანი და გვიანი III სართულის პროფილირებული პარაპეტი. სახლის კუთხე აქცენტირებულია აკანთისებური ორდერის ნახევარწრიული, შეწყვილებული სვეტებით (II სართულზე) და დაკუთხული პილასტრებით. ანალოგიური სვეტებით არის მონიშნული II სართულის გვერდითი ნაწილები. ინგოროყვას ქუჩის მხრიდან შემოიზღუდავდა ქუჩუსკენ გახსნილ ეზოს. თავდაპირველად ეზოს მხარეს, ფასადის ცენტრში, წინ იყო წამოწვდილი ორი ქანობით გადახურული ხის ღია აივანები. ამჟამად აივნები ორთავე სართულზე ამოშენებულია.



საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს დგას ძეგლად აღრიცხული, სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი №4, საინტერესო საფასადო სახით. აქ მეორე და მესამე სართულებზე, ერთმანეთს ენაცვლება ნალესობით მოჩარჩოებული თაღოვანი და მშვილდა ზედანიანი სარკმლები, რომლებიც ფლანგებზე შეისრული ღიობებით არის აქცენტირებული. აქვს ჭვირული კიდული აივანი.



მის გვერდით მდგომი კუთხის სახლი №2, XX ს-ის შუა ხანებშია აგებული და იგი ე.წ. სტალინური არქირექტურის რიგით ნაყოფს წარმოადგენს.

ამ ნაგებობის არქიტექტურული კომპოზიცია კარგად არის გათვლილი და ფასადების შემკულობითა თუ საინტერესო სტრუქტურით, მნიშვნელოვან აქცენტს ქმნის განაშენიანებაში და განსაზღვრავს ქუჩების შესაყარის მხატვრულ სახეს.

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

პავ. **ინგოროყვას ქუჩა** – წარმოიქმნა XIX ს-ის შუა პერიოდში აქ გაშენებული სამეფო ბაღების ადგილას. მას ჯერ **ლაბორატორიის**, შემდეგ **პეტრე დიდის** – 1903წ. **ლ. ტროცკის** – 1923წ. და ფ. **ძერჟინსკის** სახელი ერქვა. 1990წ. ეწოდა პავ. **ინგოროყვას ქუჩა.**

გ. **ლეონიძის ქუჩა** – წარმოიქმნა XIX ს. 20-იან წლებში ავანაანთ ხევის გაყოლებით. უკვე აღნიშნულია 1831 წლის თბილისის გეგმაზე, სახელის გარეშე. მას ჯერ **მთის (1830-იანი წწ),** შემდეგ **სოლოლაკის (1844წ.),** მერე **აღმასკომის (1924წ.),** და **კიროვის (1935წ.)** სახელი ერქვა. 1990-იანი წწ-დან კი გ. **ლეონიძის** სახელი ეწოდა.

შიო. **ჩიტაძის ქუჩა** ჩაისახა XIX ს-ის 30-იან წლებში. თბილისის 1809 წლის გეგმაზე იგი უკვე დაპროექტებულია. თუმცა ურბანული ქუჩის სახე მან მიიღო მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან. 1918 წლამდე მას **ერმოლოვის ქუჩა** ერქვა. ამჟამად ჩიტაძის ქვედა ნაწილს ეწოდება **ცხრა აპრილის** ქუჩა.

გერონტი **ქიქოძის ქუჩა** წარმოიქმნა XIX ს-ის 30-იან წლებში. თავდაპირველად წარმოადგენდა გზას კოჯრისკენ და იყო **სოლოლაკის ქუჩის** ნაწილი. 1840-იან წლებში ეწოდა **ინსტიტუტის ქუჩა.** 1857 წ. დაერქვა **ძველი ინსტიტუტის ქუჩა.** 1900 წლიდან **პასკევიჩის ქუჩა.** 1923 წლიდან ფ. მახარაძის ქუჩა. 1990-იანი წლებიდან **გ. ქიქოძის** სახელი ქვია.

პეტრე **ჩაიკოვსკის ქუჩა წარმოიქმნა** XIX ს-ის შუა პერიოდში. თავდაპირველად ერქვა **კონსულის** ქუჩა. 1923 წლიდან გ. **ელიავას ქუჩა.** 1938 წ. ეწოდა პ. **აიკობსკის** სახელი.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად ამ უბნის ურბანული გარემოს ჩამოყალიბება, ისევე როგორც ზოგადად ძველი თბილისის სხვა უბნებში, ისტორიულ-არქიტექტურული განვითარების შედეგია. განვითარების პროცესი ევოლუციურად მიმდინარეობდა. მას საფუძვლად ედო აქ არსებული გეოგრაფიული და არქიტექტურული მოცემულობები (ავანაანთ ხევი, ისტორიული გზები და ბაღები) და ამავე მოცემულობათა რეალიების გათვალისწინებით მოეწყო ქუჩების ქსელიც. ამ პროცესში თითოეულ ეპოქას მისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი და მხატვრული ცვლილებები შეჰქონდა ურბანულ ქსოვილში და შედეგად მივიღეთ უბნის დღევანდელი სახე – ისტორიულად მოცემულ გეოგრაფიულ საფუძველზე XIX ს-ის განმავლობაში ჩამოყალიბებული ურბანული გარემო, XX ს-ის მეორე ნახევრის გარკვეული სტრუქტურული ცვლილებებით.

აქ ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობდა. ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ურბანულ გარემოში ცვლილებების შეტანა ალბათ კიდევ მოხდება. ოღონდ ნებისმიერი ცვლილება კვლავ ევოლუციური უნდა იყოს და არ უნდა შექმნას მკვეთრი დისონანსი აქ უკვე არსებულ გარემოში. **ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ავარიულობის გამო საპროექტო ადგილზე ნაგებობის დანგრევით ისტორიულ განაშენიანებაში შეიქმნა სიცარიელე, რომელიც უნდა შეივსოს, რათა აღდგეს ისტორიული განაშენიანების რიტმი.**

შეიძლება აღინიშნოს, რომ ცვლილებები მნიშვნელოვანწილად ევოლუციურად მიმდინარეობდა XX ს-ის პირველ ნახევარში. სტილისტური განსხვავების მიუხედავად ეს ნაგებობები სტრუქტურულად და ესთეტიკურად ერთი ეპოქის ამსახველნი არიან და ამიტომ აქ ჩამოყალიბებულია ერთიანი არქიტექტურული გარემო (რასაც ვერ ვიტყვით ყოფილი „ცეკას“ – დღევანდელი კანცელარიის შენობასა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არქიტექტურულ ძეგლად არის აღრიცხული, და იაშვილის ქუჩისკენ ახლად აგებულ კარკასზე, რომელთა მოცულობითი ფორმები, მასალა თუ გარკვეულწილად ფასადების მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტაც ამოვარდნილია ისტორიული განაშენიანებიდან).

ამიტომ აქ მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო სახეცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებულ ქუჩათა განაშენიანების და ნაგებობების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქუჩის ლუწრიცხვებიანი მონაკვეთი კომპოზიციურად შედგება ერთგვაროვანი მხატვრულ-არქიტექტურული მოცულობებისგან რომლებიც წარმოადგენენ ქუჩის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ სახეს.

აქ მნიშვნელოვანია თუ რა მხატვრული ღირებულების მქონე ახალი მოცულობა დაემატება. მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ქუჩის და განაშენიანების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული ღირებულება.

აქ ფრთხილად უნდა მოვიქცეთ ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებისას, რაც შეიძლება ვიზუალურად ზედმეტად აქტიურ ლაქად წარმოჩნდეს ამ გაწონასწორებულ და მშვიდ ურბანულ სხეულში. აქ უნდა განხორციელდეს ისეთი მოცულობის დამატება, რომელსაც არსებულის ადექვატური მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები ექნება და უმტკივნეულოდ ჩაეწერება უბნის ისტორიულ განაშენიანებაში. აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მშენებლობის ხარისხი;

გამოყენებული მასალები:

1. თბილისის ისტორიული გეგმები – თბილისის ისტორიული მუზეუმის და ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი;

2. საარქივო ფოტოები – თბილისის ისტორიული მუზეუმის და საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი.

ხელოვნებათმცოდნე – **გია ჭანიშვილი**
10. 02. 2007